ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. იანვარს 31. № 1 ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**სახელმწიფო წყობილება და მმართველობა**

1. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6 მუხლისათვის „ლ¹“ პუნქტის დამატების შესახებ.
2. საქართველოს სსრ-ში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

**სამხედრო საქმე**

3. „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა ოჯახების შეღავათებისა და უზრუნველყოფის თაობაზე არსებული კანონების აღსრულებისათვის კონტროლის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ივლისის 7-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

**სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები**

4. უწყებების და ორგანიზაციების მიერ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში საღრიცხვო-სასტატისტიკო მასალების თავის დროზე წარდგენის ღონისძიებათა შესახებ.
5. სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის საკუთარ საბრუნავ სახსართა გამოყოფის შედეგების [illegible]ებაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

**სამოქალაქო სამართალი**

6. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 44² მუხლის დამატების შესახებ.
7. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 და 414 მუხლების შეცვლის შესახებ.
8. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის შესახებ.

**მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა**

9. სამთო კოდექსის 87 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.
10. ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
11. სარეწაო კოოპერაციის დებულების 103, 105, 112 და 113 მუხლების შეცვლისა და 104, 106, 107 და 108 მუხლების გაუქმების შესახებ.
12. სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.

### მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

**13.** საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საშენი მასალის განმანაწილებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საშენი მასალის განმანაწილებელი კომისიის შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

**14.** საქართველოს სსრ დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა დ გაწყობილობისათვის ხელის შემწყობი ფონდების თაობაზე" გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

### სანადირო და სათევზე მეურნეობა

**15.** საქართველოს სსრ სათევზე მეურნეობის მმართველობის სფეროში საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ფუნქციების შესახებ.

### ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

**16.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის მშენებლობის დამხმარე კომიტეტის მოწყობისა და ამ კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზა-ტკეცილის მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ.

**17.** საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ.

**18.** სასაწყობო და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის სრულიად საკავშირო შენაერთის („სოიუზტრანს“) ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.

**19.** წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის დამხმარე საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

### კომუნალური და საბინაო მეურნეობა

**20.** სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლისა და ამავე დადგენილებისათვის მე-2$^1$ მუხლის დამატების შესახებ.

**21.** სადგომების დაქირავების სფეროში სარეწაო კოოპერატიული არტელებისათვის (ამხანაგობებისათვის) მინიჭებული შეღავათების ინვალიდთა კოოპერაციის ამხანაგობებსა და არტელებზე და ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის საწარმოო ორგანიზაციებზე გავრცელების შესახებ.

### შ რ ო მ ა

**22.** შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესატანი ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ.

**23.** სამუშაო ხელფასის ფონდების ზედმეტი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

**24.** სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის სადისციპლინო წესისამებრ დატუსაღების სახით გადასახდელდადებულ მომუშავეთა პყრობილობის წესის შესახებ.

### სოციალურ-კულტურული წყობილება

**25.** „საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ.

### სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

**26.** იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

## 1. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6 მუხლისათვის „ო$^{1}$“ პუნქტის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208; 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 89 და 90) დაემატოს „ო$^{1}$“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე:........]

„ო$^{1}$“. დაწესებულებათა და საწარმოთა გათბობის პერიოდის ვადების დაწესების შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## 2. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

„ა/კსფსრ-ში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 9-ის დადგენილების შესაბამისად მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების გადასინჯვისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კატეგორიულად აიკრძალოს, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, დამტკიცებული შტატის სტრუქტურული ცვლილება და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების გადიდება: ცენტრში—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან წინასწარ შეუთანხმებლად და შემდგომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაუმტკიცებლად, ხოლო ადგილებზე—მუშათა და გლეხთა ინსპექ-

ციის ორგანოებთან წინასწარ შეუთანხმებლად და შემდგომ სარაიონო აღმა-სრულებელი კომიტეტებისა ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების მიერ დაუმტკიცებლად.

2. დადგენილ იქნეს, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არ შეიძლება რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციის დაარსება, უკეთუ ამ ორგანიზაციის დაარსების საკითხი წინასწარ არ განიხილა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ან მისმა ადგილობრივმა ორგანომ და შემდგომ არ დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ან სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა—კუთვნილებისამებრ.

3. კატეგორიულად აეკრძალოთ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებს მომუშავეთათვის იმ განაკვეთზე მეტი სასყიდლის მიცემა, რაც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სათანამდებობო ჯამაგირების სქემაში.

სპეციალისტებისათვის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სქემაში გათვალისწინებულ განაკვეთზე მეტი სასყიდლის მიცემა შეიძლება მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის წინასწარი დასტურით.

4. შეთავსების საკითხის მოსაწესრიგებლად წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთ—წარუდგინონ სამი დღის ვადაზე საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს ან მის სარაიონო ორგანოებს კუთვნილებისამებრ, ცნობები იმ მომუშავეთა შესახებ, რომელნიც შეთავსებით მუშაობენ, და ამას იქით, შრომის სახალხო კომისარიატის ან მისი სარაიონო ორგანოების წინასწარი დასტურის გარეშე არ მოახდინონ შეთავსება.

5. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებსა და ოლქში ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. დეკემბრის 17.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხედრო საქმე

### 3. დადგენილება ც.ა.კ.

**„მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა ოჯახების შეღავათებისა და უზრუნველყოფის თაობაზე არსებული კანონების აღსრულებისათვის კონტროლის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ივლისის 7-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.**

„მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა ოჯახების შეღავათების და უზრუნველყოფის თაობაზე არსებული კანონების აღსრულებისათვის კონტროლის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ივლისის 7-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 54 №-ი, მუხ. 327), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წითელარმიელთა ოჯახების შეღავათების და დახმარების შესახებ არსებული კანონების განხორციელების სფეროში ცენტრალური დაწესებულებებისა, ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედებისათვის უშუალო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით—ამ ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხ. კალ. ვაშაკიძეს.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წითელარმიელთა ოჯახების შეღავათებისა და დახმარების შესახებ არსებული კანონების განხორციელებისათვის 1-ლ მუხლში აღნიშნული ხელმძღვანელობის გაწევა დააკისრონ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს და აგრეთვე განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს:

ა) გამოყონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი და დააკისრონ მას უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა და პასუხისმგებლობა წითელარმიელთა ოჯახების შეღავათების და დახმარების შესახებ არსებული კანონების განხორციელებისათვის;

ბ) სასოფლო საბჭოში იგივე მოვალეობა დააკისრონ სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს, ხოლო იქ, სადაც პრეზიდიუმი არ არსებობს—სასოფლო საბჭოს ერთ-ერთ წევრს;

გ) მოისმინონ არა ნაკლებ, ვიდრე კვარტალში ერთხელ, სასოფლო და საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სპეციალური მოხსენება წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის ღონისძიებათა და მათთვის კანონით დადგენილი შეღავათების მიცემის შესახებ;

დ) განახორციელონ ღონისძიებანი წითელარმიელთა ოჯახის წევრების ფართოდ ჩაბმისათვის საგადასახადო კომისიების მუშაობაში და სასოფლო საბჭოების და საქალაქო საბჭოების სექციების მუშაობაში, განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების მუშაობაში.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—დააკომპლექტონ სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო ინსპექტორების თანამდებობანი, ხოლო იქ, სადაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები არსებობს, აგრეთვე ამ განყოფილებათა შტატიც საკმარისად მომზადებული მომუშავეებით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროკურორს—უზრუნველყოს საჭირო ზედამხედველობა პროკურატურის ორგანოების მხრით წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფისა და შეღავათების შესახებ არსებული კანონების აღსრულებისათვის და სასწრაფო განხილვა ამ კანონების დარღვევის ყველა შემთხვევისა—დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. **თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 300 №-ში 1932 წ. დეკემბრის 28.

---

## სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

### 4. დადგენილება ს.კ.ს.

**უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში საღრიცხვო-სასტატისტიკო მასალების თავის დროზე წარდგენის ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს-რა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში საჭირო საღრიცხვო-სასტატისტიკო მასალების წარდგენისათვის დანიშნული ვადების დარღვევის შეუწყნარებლობას, ადგენს:

1. წინადადება მიეცეს უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ—დაადვან, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მოთხოვნით, სადისცი-

პლინო გადასახდელი, „თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულებით“ გათვალისწინებული წესებისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 225), იმ პასუხისმგებელ თანამდებობის პირთ, ვინც არ წარადგენს ან თავის დროზე არ წარადგენს საჭირო საალრიცხვო-სასტატისტიკო მასალებს.

2. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს—პასუხისგებაში აძლიონ სისხლის სამართლის წესით, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთა შესახები თავის სათანადო მუხლების თანახმად, ის თანამდებობის პირი, ვინც ბოროტულად ან სისტემატურად დაარღვევს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში საჭირო საალრიცხვო-სასტატისტიკო მასალების წარდგენის წესს და ვადებს.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## 5. დადგენილება ს.კ.ს.

### „სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის საკუთარ საბრუნავ სახსართა გამოყოფის შედეგების თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

„სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის საკუთარ საბრუნავ სახსართა გამოყოფის შედეგების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 73 №-ი, მუხ. 447) იმ ნაწილისა, რაც ეხება არასალიკვიდო სასაქონლო-სამასალო ფასეულობის რეალიზაციას, და ამ დადგენილების განხორციელების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 290 №-ი) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებას და ადგილობრივ საბჭოს წარადგინოს ხუთი დღის ვადაზე, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორაში და მის ადგილობრივ ფილიალში (კუთვნილებისამებრ) ცნობები მის ხელთ ქონებული არასალიკვიდო სასაქონლო-სამასალო ფასეულობის შესახებ ამ ფასეულობის მდგომარეობის მიხედვით 1932 წ. ოქტომბრის 1-თვის და მისი რეალიზაციის საკალენდრო გეგმა.

სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ და მისმა ფილიალებმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ერთად,

უნდა გადასინჯონ არასალიკვიდო სასაქონლო-სამასალო ფასეულობის რეალი-ზაციის წარდგენილი გეგმები რეალიზაციის რეალური საბოლოო ვადების გან-საზღვრისათვის.

ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს საფინანსო-საკრედიტო ორგანოებს, უკეთუ სახელ-მწიფო სამეურნეო ორგანიზაციები არ შეასრულებენ ამა დადგენილების 1-ლ მუხლს და აგრეთვე არასალიკვიდო სასაქონლო-სამასალო ფასეულობის რეალი-ზაციის ვადებს, შეუფარდონ მათ მკვეთრი საკრედიტო ზემოქმედების ღონის-ძიებანი, ე. ი. შეუმცირონ კრედიტები ისეთი თანხის რაოდენობით, რა თანხის სასაქონლო-სამასალო ფასეულობა არ იქნება რეალიზებული გეგმის თანახმად; ხოლო უკეთუ გეგმა სისტემატურად მთლად არ იქნება შესრულებული, შეუ-ფარდონ მათ გაცემულ სესხთა ვადამდე გადახდევინების ღონისძიება.

3. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებებთან ერთად, გამოარკვიოს ერთი თვის ვადაზე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სამეურ-ნეო ორგანოები და საწარმონი, რომელნიც დაუდევრად მოეპყრნენ საკუთარ საბრუნავ სახსართა დაგროვებისა და შენახვის საქმეს და დაადვას მათ ხელ-მძღვანელთ სათანადო გადასახდელი.

4. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—დაამყაროს სისტემატური კონტროლი როგორც შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებებისა (1932 წ. ოქტომბრის 13-ისა და დეკემბრის 13-ის), ისე ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

5. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტე-რიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებით და ავტონომიური ოლქით.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 20.
ტფილისი.

---

## სამოქალაქო სამართალი

### 6. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 44² მუხლის დამატების შესახებ.**

„სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ალძრულ დავათა სასარჩელო ხანდაზმუ-ლობის ვადების თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების დამატების შესახებ გამოქვეყნებული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 57 №-ი, მუხ. 341), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს $44^2$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„$44^2$. $44^1$ მუხლსა და ამ მუხლის შენიშვნაში აღნიშნული ყველა დავის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება წარდგენილ იქნეს აღსასრულებლად ექვსი თვის ვადაზე“.

II. 1932 წლის ივლისის 17-დე გამოტანილ გადაწყვეტილებებს ეფარდებათ გადაწყვეტილების გამოტანის დროს მომქმედი ვადა, ხოლო არა უხანგრძლივეს ექვსი თვისა, დაწყებული 1932 წლის ივლისის 17-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## 7. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 და 414 მუხლების შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 და 414 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„413. ის პირი ან საწარმო, რომელიც დაზარალებულისათვის დასაზღვევს იხდის სოციალური დაზღვევის წესით ან შინამრეწველთა და ხელოსანთა საურთიერთო დაზღვევის წესით, ვალდებული არ არის აანაზღაუროს დაზღვევის შემთხვევით გამოწვეული ზიანი. ხოლო უკეთუ ზიანი მიყენებულია მეწარმის დანაშაულებრივი მოქმედებით ან უმოქმედობით, სოციალური დაზღვევის ორგანოს და სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს, რომელმაც დაზარალებული დააკმაყოფილა, უფლება აქვს დაზარალებულისათვის მიცემული დახმარება მოსთხოვოს მეწარმეს (რეგრესი).

აღნიშნულ შემთხვევაში დაზარალებულს, რამდენადაც იგი სოციალური დაზღვევის წესით ან საურთიერთო დაზღვევის წესით არ მიიღებს ზიანის სრულ საზღაურს, უფლება აქვს მოსთხოვოს მეწარმეს დამატებითი საზღაური“.

„414. უკეთუ ზიანი მიყენებულია არა დამაზღვეველის მიერ დაზარალებულს, რამდენადაც იგი სოციალური დაზღვევის წესით ან შინამრეწველთა და

ხელოსანთა საურთიერთო დაზღვევის წესით არ მიიღებს ზიანის სრულ საზღაურს, უფლება აქვს მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელს დამატებითი საზღაური. სოციალური დაზღვევის ორგანოს და სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს უფლება აქვს მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელს დაზარალებულისათვის მიცემული დახმარება (რეგრესი)“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## 8. დადგენილება ს.კ.ს.

**რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის წესის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების ცალმხრივი მოშლა ან შეცვლა აკრძალულია.

2. აღნიშნულ ხელშეკრულებათა მოშლა ან შეცვლა შეიძლება მხოლოდ:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) სათანადო სახალხო კომისარიატის ან მასთან გათანაბრებული ცენტრალური დაწესებულების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით—იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებად არიან საწარმონი ან ორგანიზაციები, რომელნიც უშუალოდ ერთ სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ დაწესებულებას, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან ადგილობრივ საბჭოს ექვემდებარებიან;

გ) სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს დადგენილებით—იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებად არიან ამა თუ იმ რაიონის ან საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფი სხვადასხვა ადგილობრივი საბჭოების საწარმონი და ორგანიზაციები, ან როდესაც ერთ-ერთ მხარედ არის ამა თუ იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს საწარმო ან ორგანიზაცია, ხოლო მეორე მხარედ—რაიონის ან საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფი ადგილობრივი საბჭოს საწარმო ან ორგანიზაცია;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით—იმ შემთხვევაში, რომელსაც ხელ-შეკრულების მხარეებად არიან საწარმონი და ორგანიზაციები, რომლებიც ექ-ვემდებარებიან ამ რესპუბლიკის თუ ოლქის სხვადასხვა უწყებებს, სხვადასხვა აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს, ან როდესაც ხელ-შეკრულების ერთ-ერთ მხარედ არის უწყების საწარმო თუ ორგანიზაცია, ხოლო მეორე მხარედ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან ადგილობრივი საბჭოს საწარმო თუ ორგანიზაცია;

ე) საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს დადგენილებით—ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## მრეწველობა

### 9. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სამთო კოდექსის 87 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამთო კოდექსის 87 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციები ზოგად-გავრცელებული და არასამადნო წიაღისეულის საბადოების დამუშავებას აწარმოებენ უსასყიდლოდ“.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10. დადგენილება ს.კ.ს.

### ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით სრულად უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხანას დაამზადოს ყველგან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თუთის ხის მერქანი: ა) გადამხმარი და დაავადებული ხისა; ბ) გადაბერებული ხისა; გ) მეაბრეშუმეობის რაიონზე დაშორების გამო აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად გამოუყენებელი ხისა და დ) ბუჩქისებრი თუთის გაშენების მიზნით მოჭრილი ხისებრი თუთისა.

აღნიშნული მერქნის დამზადება ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხანას შეუძლიან აწარმოოს ან თავისი რწმუნებულების მეშვეობით ან ადგილობრივი საბჭოებისა თუ განსაზოგადოებული სექტორის სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით.

2. აღნიშნული ხეების მოჭრა შეიძლება მხოლოდ რაიონის აგრონომის მიერ, საქართველოს მეაბრეშუმეობის ტრესტის რწმუნებულთან ერთად, შემოწმებისა და სათანადო ნებართვის მიცემის შემდეგ.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და იმ ადგილების მოსახლეობას, რომლებსაც უჩვენებს ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხანა, ჩააბარონ ამ ქარხანას მთლად მათ მიერ, არსებული წესების დაცვით, მოჭრილი მერქანი ქარხნის ადმინისტრაციის და სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შეთანხმებით განსაზღვრულ ფასად ან სხვა მერქანზე გაცვლით.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესით, რაც გათვალისწინებულია „თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ ნარგავთა მოვლა-გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 27-ის დადგენილების მე-4 მუხლით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 135).

ამასთანავე მოჭრილი მერქანი ჩამორთმეულ უნდა იქნეს და გადაეცეს ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხანას.

5. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წესები და ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად და ბათომის ბუნებრივ სალებავთა ქარხნის მონაწილეობით,

ამ ქარხნისათვის სათანადო დამოუკიდებელი სანედლეულო ბაზისის შექმნის საკითხი და წარმოუდგინოს ორი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამ საკითხის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 279 №-ში 1932 წ. დეკემბრის 3.

---

## 11. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სარეწაო კოოპერაციის დებულების 103, 105, 112 და 113 მუხლების შეცვლისა და 104, 106, 107 და 108 მუხლების გაუქმების შესახებ.**

„სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 66 №-ი, მუხ. 389) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სარეწაო კოოპერაციის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 103, 105, 112 და 113 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„103. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობების რეგისტრაცია მოხდება სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის სათანადო რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანოებში (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99), რეგისტრაციის ორგანოს მიერ წესდების თაობაზე სათანადო სარეწაო კოოპერატიული კავშირის დასკვნის მიღების შემდეგ“.

„105. რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ წესდება ეწინააღმდეგება კანონს“.

„112. სარეწაო კოოპერატიული კავშირების წესდებებს ამტკიცებს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო“.

„113. სარეწაო კოოპერატიული კავშირების რეგისტრაცია მოხდება სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის სათანადო რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანოებში (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99)“.

2. 104, 106, 107 და 108 მუხლები გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.**

სახსართა მობილიზაციისათვის ხელშეწყობისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების რაც შეიძლება საჩქაროდ დაფარვის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს კომისიები:

ა) სრულიად საქართველოს სარეწაო-კოოპერატიულ საბჭოსთან (საორგბიურო) შემდეგი შედგენილობით: წარმომადგენელნი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო პროკურატურისა, სახელმწიფო ბანკისა და სრულიად საქართველოს სარეწაო-კოოპერატიული საბჭოსი (საორგბიურო);

ბ) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ანალოგიურ საფუძველზე.

წინადადება მიეცეს აღნიშნულ კომისიებს დაამთავრონ სავსებით სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით არსებული სადებიტორო დავალიანების დაფარვა სამი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

2. ნება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს—გადაწყვიტონ სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებათა კვალობაზე სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა განხორციელების დროს სარეწაო კოოპერაციის ორგანოებსა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს შორის აღძრული ქონებრივი დავანი ათას მანეთზე არა ნაკლები თანხის შესახებ; ეს დავანი გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდებარეობის ფარგლებში და იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სახელმწიფო არბიტრაჟში საქმეების განხილვისათვის.

**შენიშვნა.** კომისიებში ქონებრივ დავათა შესახები საქმეების განხილვის დროს მონაწილეობას იღებენ მხარეთა წარმომადგენლების სახით სარეწაო კოოპერაციის სათანადო ორგანოს წარმომადგენელნი და დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს უზრუნველყოს რიგს გარეშე და სასწრაფოდ განხილვა სასამართლო ორგანოებში იმ სარჩელებისა, რაც აღიძვრის ზემოაღნიშნული კომისიების მუშაობის პროცესში.

4. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს სახელმწიფო პროკურატურასთან, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორასთან შეთანხმებით, და ხუთი დღის ვადაზე წარმართოს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 285 №-ში 1932 წ. დეკემბრის 10.

---

## მშენებლობა

### 13. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საშენი მასალის განმანაწილებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საშენი მასალის განმანაწილებელი კომისიის შესახებ.

საქ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

## დებულება

**საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საშენი მასალის განმანაწილებელი კომისიის შესახებ.**

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ყველა ნაკვეთზე როგორც შემოზიდული, ისე ადგილობრივი საშენი მასალის განაწილებისათვის საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებობს საშენი მასალის განმანაწილებელი კომისია.

2. კომისია ეწყობა საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით და შემდეგი შედგენილობით: პასუხისმგებელი წარმომადგენელნი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა

და განათლების სახალხო კომისარიატებისა, სსრკ-ის მძიმე მრეწველობის და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოსი.

3. საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას ეკისრება:

ა) გამოარკვიოს საქართველოს სსრ უწყებებისა და სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მოთხოვნილებანი საშენი მასალისადმი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დამუშავებული ცნობების საფუძველზე და მთავრობის მიერ დამტკიცებული სატიტულო სიებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის ლიმიტების შესაბამისად;

ბ) შეადგინოს, ფონდების მიღების მიზნით, ჯუმლობითი განაცხადები შემოზიდულ და ადგილობრივ საშენ მასალაზე; წარადგინოს და დაიცვას ეს განაცხადები, სათანადო ორგანოების მეშვეობით, ყველა იმ ინსტანციაში, რომელიც იხილავს და ამტკიცებს საშენი მასალის განაწილების წლიურ და კვარტალურ ბალანსებს და გეგმებს;

გ) დაამტკიცოს ფონდირებული და ადგილობრივი საშენი მასალის განაწილების წლიური და კვარტალური გეგმები;

დ) დაამყაროს ფონდირებული და ადგილობრივი საშენი მასალით მომარაგების წესი და სისტემა;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი ქონებული რესურსების რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებისათვის (მეტის-მეტად დეფიციტიანი მასალის ნაკლებად დეფიციტიანი მასალით შეცვლა); შემოიღოს ხმარებაში ადგილობრივი და ახალი საშენი მასალა;

ვ) თვალყური ადევნოს საშენებლებს; კონტროლი გაუწიოს მომხმარებლებისათვის გამოყოფილი საშენი მასალის მიზნობრივ გამოყენებას;

ზ) მოაწყოს ფონდებიდან გასაცემი მასალების სისტემატური აღრიცხვა და მოახდინოს მათი რეალიზაცია საქართველოს სსრ სამომხმარებლო-საგამსალებლო სამმართველოს და სხვა საგამსალებლო ორგანიზაციის მეშვეობით,

შენიშვნა. შემოზიდულ საშენ მასალას კომისია ანაწილებს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც არა აქვთ საამიერკავკასიო ცენტრები.

4. მოთხოვნილებათა გამორკვევას და საშენი მასალის განაწილებას კომისია აწარმოებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სათანადო დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ.

5. კომისიასთან ეწყობა მომუშავე აპარატი, რომლის სტრუქტურას და შტატებს შეიმუშავებს კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 14. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობილობისათვის ხელის შემწყობი ფონდების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 127), რომელი დადგენილებითაც გაუქმებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილება „ა/კსფსრ დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობილობისათვის ხელის შემწყობი ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 24-ის დადგენილება „საქართველოს სსრ დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობილობისათვის ხელის შემწყობი ფონდების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 335) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი.

---

## სანადირო და სათევზე მეურნეობა

### 15. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სათევზე მეურნეობის მმართველობის სფეროში საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ფუნქციების შესახებ.**

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 460) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის

დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 206) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის გამგებლობის ფარგლებში საქართველოს სსრ სათევზე მეურნეობის მმართველობის ხაზით შედის:

ა) მეთევზეობისა და საზღვაო მხეცთა ხოცვის რეწაობის მოწესრიგება;

ბ) ყველა სათევზე და საზღვაო მხეცთა ხოცვის სანახის გამგებლობა;

გ) მეთევზეობის სფეროში სათანადო ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა თევზთმოშენებისა, მეთევზეობისა და საზღვაო მხეცთა ხოცვის რეწაობის სფეროში;

ე) ხელმძღვანელობისა და გამგებლობის გაწევა ყველა პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლისათვის სათევზე საქმეში;

ვ) ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოში მეთევზეთა საკოლმეურნეო სისტემის სამეურნეო მოქმედებისათვის და მეთვალყურეობა მისი მუშაობისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—გამოსცეს და განახორციელოს, მომქმედი კანონმდებლობისა და სსრკ-ისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატების დირექტივების საფუძველზე, ნორმები, რაც აწესრიგებს საქართველოს სსრ სათევზე მეურნეობას.

3. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: ა) 1931 წ. იანვრის 5-ისა „საქართველოს თევზი"-ს სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16; მე-14 №-ი, მუხ. 160; 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 59); ბ) 1929 წ. მაისის 26-ისა „მდინარე მტკვრის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის რაიონში ორაგულისა და სხვა თევზის ჭერის აკრძალვის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 138).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

მუხ. 16
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრანსპორტი

### 16. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის მშენებლობის დამხმარე კომიტეტის მოწყობისა და ამ კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის მშენებლობის დამხმარე კომიტეტი და დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ამ კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. ჯოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ.

1. რათა გაერთიანებულ იქნეს ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის სწრაფად და წარმატებით გაყვანისათვის მიმართული ღონისძიებანი და რათა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და მოსახლეობამ ყოველნაირად ხელი შეუწყონ სათანადო სამშენებლო სამუშაოებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს აღნიშნული გზის მშენებლობის დამხმარე კომიტეტი.

2. აღნიშნულ კომიტეტს ეკისრება:

ა) გააერთიანოს, შეათანხმოს და წარმართოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ცენტრალური დაწესებულებების და სათანადო რაიონების ადგილობრივი ორგანოების მოქმედება ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილის გაყვანასთან დაკავშირებული საკითხების სფეროში;

ბ) განიხილოს აღნიშნული გზის გასაყვანად საჭირო სამუშაოთა გეგმები და პროგრამები;

გ) განიხილოს ზემოხსენებულ სამუშაოთა დაფინანსების გეგმები და აგრეთვე ხელი შეუწყოს საჭირო სახსრის გამონახვას მუშაობის საწარმოებლად და ამ მუშაობის თავის დროზე დასაფინანსებლად;

დ) ხელი შეუწყოს მშენებლობის შეუფერხებელ მომარაგებას საჭირო მასალით, გაწყობილობით, ტრანსპორტით და სადგომებით, მუშათა მომარაგების

გაუმჯობესებას და მშენებლობის უზრუნველყოფას კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშა-ძალის სათანადო კადრებით, რისთვისაც, კერძოდ, სამშენებლო მუშაობაში თავის დროზე და სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული სოფლობრივი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა (საგზაო შრომითი ბეგარა).

3. კომიტეტს უფლება აქვს იმ რაიონის სოფლებში, სადაც ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილი გაივლის, მოაწყოს აღნიშნული გზის მშენებლობის დამხმარე უჯრედები და ჩააბას ამ უჯრედების შედგენილობაში სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები და სოფლის აქტივი.

4. დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე არის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ არჩეული პირი, და მის შედგენილობაში შედიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის და ალბულახ-მანგლისის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი და გზის სამუშაოთა უფროსი.

კომიტეტის თავმჯდომარე იმავე დროს არის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებული აღნიშნული გზის მშენებლობის საქმეში.

5. კომიტეტს ტექნიკურ მომსახურეობას გაუწევს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აპარატი.

## 17. დადგენილება ს.კ.ს.

**საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ.**

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 21-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებაც გამოტანილია სრულიად საკავშირო გზატკეცილებისა, ყამირ-გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს მოხსენების გამო 1931 წლის მუშაობის შედეგებისა და 1932 წლის პერსპექტივების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 39 №-ი, მუხ. 236), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

### I. საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობის შესახებ.

1. სოფლის მეურნეობის შიმდევარი მოსახლეობის გარდა, საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები თავიანთი საწევი მექანიკური და ცოცხალი ძალით და საჭირო ინვენტარით.

2. ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მონაწილეობას იღებენ გზების იმ უბნების მშენებლობაში, რომლებ-

საც იყენებენ ტვირთბრუნვისათვის, და აგრეთვე მონაწილეობას იღებენ საერთო სარგებლობის გზების მშენებლობაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზების ამ უბნების მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობის ვადები და ფორმები განისაზღვრება სათანადო ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების შეთანხმებით.

**შენიშვნა.** საერთო სარგებლობის გზების მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მონაწილეობას იღებენ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ დარჩებათ სახსარი და ძალა იმ გზების მოვლა-პატრონობისათვის ხელის შეწყობის შემდეგ, რომლებიც გამოიყენება უმთავრესად მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ.

## II. გზების დაცვის შესახებ.

**3.** რესპუბლიკანური და საკავშირო მნიშვნელობის მქონე გზებს და საგზაო ნაგებობებს იცავენ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს სათანადო სახაზო უბნები; ამასთანავე, დასახლებული ადგილების ფარგლებში ამ გზების დაცვა ეკისრება სათანადო საქალაქო და სასოფლო საბჭოებს.

ამ გზების დაცვის წესი და აგრეთვე სამცველოების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციით, რომელსაც სცემს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო.

**4.** ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს (სასოფლო, სარაიონო, სარაიონთაშორისო, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო-სამეურნეო), საგზაო ნაგებობებს და აგრეთვე გზისპირულ ნარგავებს იცავენ სასოფლო საბჭოები.

**5.** ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაცვის მოსაწყობად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები მთლად საგზაო ქსელს რაიონის საზღვრებში ანაწილებენ ცალკეულ უბნებზე თვითეული სასოფლო საბჭოს ფარგლებში და პასუხისმგებლობას მათი დაცვისათვის აკისრებენ სათანადო სასოფლო საბჭოებს.

**6.** წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს—გამოსცენ ერთი თვის ვადაზე სავალდებულო დადგენილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ამ გზების საგზაო ნაგებობების დაცვის შესახებ და გაითვალისწინონ ხსენებულ დადგენილებაში ჯარიმის დადება იმ პირებისათვის, ვინც აფუჭებს გზებს, საგზაო ნაგებობებს და გზისპირულ ნარგავებს, ან რომელნიც არღვევენ გზების დაცვის წესებს. ჯარიმის თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც დაწესებულია „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებით“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) და „სასოფლო

საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებით“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 209).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

---

## 18. დადგენილება ს.კ.ს.

### სასაწყობო და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის სრულიად საკავშირო შენაერთის („სოიუზტრანს“) ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.

რათა მოსპობილ იქნეს სასაწყობო და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის სრულიად საკავშირო შენაერთის („სოიუზტრანს“) ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის შემთხვევები, რაც მათ ხელს უშლის სათანადოდ შეინახონ ჰაპანზიდვის ძალა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კატეგორიულად აიკრძალოს სასაწყობო სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის სრულიად საკავშირო შენაერთის („სოიუზტრანს“) ორგანიზაციების კუთვნილი მარცვლეული ფურაჟისა და მოცულობითი ფურაჟის ყოველგვარი ჩამორთმევა, იმისდა მიუხედავად, თუ რა საფუძველია ამ ჩამორთმევისათვის და რა წყაროდან არის მიღებული ფურაჟი (თივის დამზადება, ნათესი, სათიბი და ცენტრალიზებული ფონდები).

2. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს—სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში აძლიონ ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 299 №-ში 1932 წ. დეკემბრის 27.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 19. დადგენილება ს. კ. ს.

**წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის დამხმარე საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის დამხმარე საზოგადოებას უპირატესი უფლება, ყველა სხვა დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან და პირთან შედარებით, იქონიოს და იჯარით აიღოს საქართველოს სსრ-ში საზღვაო და შინაგან წყალსავალ გზებზე ნავების გამქირავებელი ნავთსაყუდები, გადასასვლელები, ბორნები, საბანაოები და პლაჟები და განახორციელოს ამ საწარმოთა ექსპლოატაცია; აგრეთვე განთავისუფლდეს ეს საზოგადოება იმ მიწის ნაკვეთების და წყლის ადგილების საიჯარო ქირისაგან, რასაც იგი გამოიყენებს წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის პუნქტების, ცურვის სკოლების და ზემოაღნიშნული საწარმოების მოსაწყობად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ერთიანი სახელმწიფო ბაჟის დებულების წესისამებრ (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 480), გაანთავისუფლოს ზემოხსენებული საზოგადოება აღნიშნული ბაჟისაგან სანოტარო მოქმედების შესრულებისა და სასამართლო დაწესებულებაში და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოში სარჩელის შეტანის დროს.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 18-ის დადგენილება „წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 11 №-ი, მუხ. 166) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 284 №-ში 1932 წ. დეკემბრის 9.

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 20. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

**სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მილებისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლისა და ამავე დადგენილებისათვის $2^1$ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მილებისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ გამოცემულ დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 20 №-ი, მუხ. 168) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. საცხოვრებელი ფართობი (სხვათა შორის დამატებითიც) წინანდელ საცხოვრებელ ადგილას შეენარჩუნება:]

ა) მომუშავეს, რომელიც, სსრკ-ის შორეულ ადგილებში და დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 427), მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, აგრეთვე იმ მომუშავეს, რომელიც მიკუთვნებულია მეორე ჯგუფისათვის, და რომელსაც ამასთანავე აქვს შეღავათები, და ორივე ჯგუფის მომუშავეთა ოჯახებს, უკეთუ ისინი გადავლენ მომუშავის ახალ საცხოვრებელ ადგილას:

როდესაც მომუშავე იგზავნება I ზოლის შორეულ ადგილას—სამი წლის განმავლობაში, ხოლო როდესაც იგი იგზავნება II ზოლის შორეულ ადგილას—ორი წლის განმავლობაში;

ბ) მომუშავეს, რომელიც, იმავე დებულების („ა“ პუნ.) თანახმად, მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, და აგრეთვე ამ მომუშავის ოჯახს, რომელიც მასთან ერთად ახალ საცხოვრებელ ადგილას გადავა, როდესაც ეს მომუშავე იგზავნება სამუშაოდ დიდი ქალაქ-ადგილების გარეშე—ორი წლის განმავლობაში“.

2. მე-2 მუხლს დაემატოს „ვ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ვ) განათლების დარგის მომუშავეს, რომელიც იგზავნება სოფლად განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ვადით არა ნაკლებ ერთი წლისა—იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მომუშავე სოფლად იგზავნება, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ორი წლით დღიდან ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასვლისა“.

3. დაემატოს დადგენილებას მე-$2^1$ მუხლი შემდეგი შინაარსისა.

„2[1]. მომუშავის ოჯახს, რომელიც წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე რჩება, წასული მომუშავის საცხოვრებელი ფართობი შეენარჩუნება იმ ვადით, რა ვადითაც იგი შენარჩუნებული აქვს აღნიშნულ მომუშავეს (მუხ. [illegible])“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ნოემბრის 22

ტფილისი.

---

## 21. დადგენილება ს.კ.ს.

**სადგომების დაქირავების სფეროში სარეწაო კოოპერატიული არტელებისათვის (ამხანაგობებისათვის) მინიჭებული შეღავათების ინვალიდთა კოოპერაციის ამხანაგობებსა და არტელებზე და ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის საწარმოო ორგანიზაციებზე გავრცელების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სადგომების დაქირავების სფეროში სარეწაო კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობებისათვის და აგრეთვე შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის მინიჭებული შეღავათების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებისა და მე-2 და 3 მუხლების მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 247) გავრცელებულ იქნეს ინვალიდთა კოოპერაციის არტელებზე (ამხანაგობებზე) და ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მიერ გაერთიანებულ არტელებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 299 №-ში 1932 წ. დეკემბრის 27.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომა

## 22. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინიგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესატანი ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს, რომ შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თვითეული დღისთვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღემატებოდეს მათი სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს.

2. ამისდა შესაბამისად „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომით საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ“ გამოცემული 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების მე-7 მუხლის „დ“ პუნქტს (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი მუხ. 256) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ამასთანავე, შრომის ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თვითეული დღისთვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღემატებოდეს მათი სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 290 №-ში 1932 წ. დეკემბრის 17.

---

## 23. დადგენილება ს.კ.ს.

**სამუშაო ხელფასის ფონდების ზედმეტი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.**

„სამუშაო ხელფასის ფონდების ზედმეტი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს რესპუბლიკანურ უწყებათ, დაწესებულებათ, და საწარმოთ რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციათ სამუშაო ხელფასის [illegible] დიდება როგორც ქალაქის მუშათა და მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის, [illegible] სოფლო მეურნეობის ხაზით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უცნობლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს—განსაზღვრონ თვითეული მათი ქვემდებარე საწარმოსათვის და დაწესებულებისათვის სამუშაო ხელფასის მტკიცე ფონდი.

3. ამა დადგენილების დარღვევისა, კერძოდ—სამუშაო ხელფასის მტკიცე ფონდის დარღვევისათვის, დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხ[illegible]ის სამარ[illegible]ლის კოდექსის სათანადო (114—118) მუხლების თანახმად.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მომარაგებისა და მიწათმოქმედების და ყველა სხვა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სამმართველოს, რომლის გამგებლობაშიაც სამრეწველო საწარმონია, აგრეთვე ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს გასცენ ორი დღის ვადაზე კონკრეტული განკარგულება ამა დადგენილების საფუძველზე, სამუშაო ხელფასის უკანონოდ გადიდებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და გაითვალისწინონ ამასთანავე კერძოდ საკითხი იმის თაობაზე, რათა სამუშაო ხელფასი დაუყოვნებლივ შეფარდებულ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულებებით ან შრომის ორგანოების მიერ სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის წესისამებრ დადგენილ ჯამაგირებთან, აგრეთვე გაითვალისწინონ ის საკითხები, რაც აღნიშნულია სსრკ-ის მძიმე მრეწველობისა, მსუბუქი მრეწველობისა, მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) ბრძანებებში („ზარია ვოსტოკა“-ს 290 №-ი 1932 წ. დეკემბრის 16-ისა და „კომუნისტის“ 291 №-ი 1932 წ. დეკემბრის 17).

5. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ორი დღის ვადაზე ამ რესპუბლიკებსა და ოლქში ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 294 №-ში 1932 წ. დეკემბრის 21.

ეროვნული

## 24. დადგენილება ს.ქ.ს.

**სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის სადისციპლინო წესებისამებრ დატუსაღების სახით გადასახდელდადებულ მომუშავეთა პყრობილობის წესის შესახებ.**

„სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო სახანძრო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის დაწესებულებების და სამეურნეო ორგანოების სამმართველო აპარატის მომუშავეთა პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივლისის 7-ის დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 53 №-ი, მუხ. 319), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილება სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესებისა და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევის გამო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანოების სამმართველო აპარატის მომუშავეთათვის სადისციპლინო წესისამებრ დატუსაღების სახით გადასახდელის დადების შესახებ უნდა შეიცავდეს, გარდა საერთო ცნობებისა გადასახდელის დამდების თანამდებობის და პიროვნებისა და გადასახდელდადებულის თანამდებობის, პიროვნების და ზედმიწევნითი მისამართის შესახებ, მცირე დანაშაულის ჩადენის დროისა და თვით დანაშაულის არსისა და დატუსაღების ვადის შესახებ, აგრეთვე იმ ადგილის აღნიშვნასაც, სადაც გადასახდელდადებულმა უნდა მოიხადოს დატუსაღება.

2. ასეთ შემთხვევაში დატუსაღება მოხდილ უნდა იქნეს იმ დაწესებულების სამყოფელ ადგილას, სადაც მუშაობს გადასახდელდადებული, სპეციალურად მოწყობილ სადგომში, რომელიც ქალაქად და სხვა პუნქტში, სადაც არსებობს მილიციის სამმართველო, მილიციის გამგებლობაშია, ხოლო სხვა ადგილას—სასოფლო საბჭოს გამგებლობაში.

**შენიშვნა.** იმ დაწესებულება და საწარმოს, რომელსაც ჰყავს სპეციალური სამცველო, უფლება აქვს დააწესოს, რომ დატუსაღება მოხდილ იქნეს თავისთან სათანადოდ მოწყობილ სადგომში.

3. გადასახდელის დადების შესახები დადგენილების ძალაში შესვლისას (სათანადო თანამდებობის პირის მიერ დამტკიცებისა თუ განსაჩივრებისათვის დაწესებული ხუთი დღის ვადის გასვლის შემდეგ) დადგენილების ერთი ასლი ეგზავნება დატუსაღების მოხდის ადგილის ადმინისტრაციას—დატუსაღებულის გამოცხადების ვადის აღნიშვნით და იმ ცნობით, თუ რომელ საათზე იწყება და თავდება გადასახდელდადებულის მუშაობა, ხოლო მეორე ასლი ეძლევა ხელთ გადასახდელდადებულ პირს—დატუსაღების მოხდის ადგილას გამოცხადების ვადის აღნიშვნით.

4. დატუსაღებული მომუშავე დატუსაღების ვადის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს მუდამ დატუსაღების მოხდის ადგილას, გარდა სამსახურის საათებისა და იმ დროისა, რაც საჭიროა სამსახურის ადგილას მისვლისა და უკან დაბრუნებისათვის.

5. დატუსაღების მოხდის ადგილის ადმინისტრაცია, იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს არის დაწესებულება, სადაც დატუსაღებული მუშაობს, დროზე ანთავისუფლებს დატუსაღებულს სამუშაოზე გამოცხადებისათვის და უნიშნავს უკან დაბრუნების ვადას.

6. გადასახდელდადებული მომუშავე უნდა გამოცხადდეს ხოლმე დატუსაღების მოხდის ადგილას დანიშნულ ვადაზე (პირველად გაგზავნის დროს და სამსახურში სიარულის დროს) დამოუკიდებლად. უკეთუ დატუსაღებული ვადაზე არ გამოცხადდა, იგი მიიყვანება იმ ორგანოს განკარგულებით, რომლის გამგებლობაშიაც დატუსაღების მოხდის ადგილია.

7. დატუსაღებული დატუსაღების მოხდის დროს თავის საკუთარ კმაყოფაზეა. უკეთუ დატუსაღებული მოისურვებს ჩაირიცხოს კმაყოფაზე დატუსაღების მოხდის ადგილას, იმ დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც გადასახდელდადებული მუშაობს, გადაურიცხავს დატუსაღებულის სამუშაო ხელფასიდან იმ ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც დატუსაღების მოხდის სადგომია, სათანადო თანხას დატუსაღების ვადისა და დაწესებული ულუფის ღირებულების მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. დეკემბრის 4.
ტფილისი.

---

## სოციალურ-კულტურული წყობილება

### 25. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 27-ის

დადგენილების მე-4 მუხლი და მე-5 მუხლის მესამე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 228) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე სცემს სავალდებულო დადგენილებებს „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) მე-6 მუხლის „გ“, „დ“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „ლ“ „მ“ „ნ“, და „ო“ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე, რაც მხოლოდ გამოცალკევებულ კურორტს ეხება, და ადგენს პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესით ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. დანარჩენ საკითხებზე-კი სავალდებულო დადგენილებებს, რომლებსაც ძალა აქვთ გამოცალკევებულ საკურორტო ქალაქთა ტერიტორიაზე, სცემენ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით“.

**მე-5 მუხლის მე-3 ნაწ.** „ადგილობრივი საბჭოების მიერ საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებების შენახვისა და სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავად იმ ქონების შემოსავლიდან, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად გადაეცა მთავარ საკურორტო სამმართველოს, გადაიდება ანარიცხები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1932 წ. ნოემბრის 22.
ტფილისი.

---

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 26. დადგენილება ს.კ.ს.

**იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება ხწარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად.**

„სასამსახურო შენობებისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესებისა და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის დაწესებულებების და სამეურნეო ორგანოების სამმართველო აპარატის მომუშავეთა პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 17-ის

დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 53 №-ი, მუხ. 319), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი მუხ. 208 და 24 №-ი, მუხ. 256), 25 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„25) იმ დოკუმენტს, რომლითაც ირკვევა, რომ „სასამსახურო შენობისა და სადგომების საერთო და სახანძრო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის დაწესებულებების და სამეურნეო ორგანოების სამმართველო აპარატის მომუშავეთა პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 53 №-ი, მუხ. 319) წესისამებრ დადებული ჯარიმა გადახდევინებულ ვერ იქნა (მთლად ან ნაწილობრივ) სამუშაო ხელფასიდან დაჭერით, უწყებული მომუშავის დათხოვნის გამო; ამასთანავე, წარდგენილ უნდა იქნეს: ა) ჯარიმის სახით სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახები ბრძანების ამონაწერი; ბ) ცნობა უწყებული მომუშავის თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე იმ დაწესებულებასა და სამეურნეო ორგანოში, სადაც მან ჩაიდინა დარღვევა, რისთვისაც იგი დათხოვნილ იქნა, და გ) ცნობა გადაუხდევინებელი ჯარიმის თანხის რაოდენობის შესახებ“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. დეკემბრის 4.
ტფილისი.

---


საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის
**კანონთა და განკარგულებათა კრებულის**
— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —
— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —
**ხელის მოწერის ფასი 1933 წლისათვის**
(თვითეული ტექსტისა)
**10 მანეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განრიგება

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1933 წელს

| №№ რიგზე | დაწესებულებანი | ცალების რიცხვი |
|---|---|---|
| 1 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . . . . . . . | 5 |
| 2 | სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . | 2 |
| 3 | სასოფლო საბჭოებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4 | საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . . . . . . . . . | 3 |
| 5 | სსსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . . . . . . . | 7 |
| 6 | ავტონომიული რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| 7 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . . . . . . . . . | 3 |
| 8 | საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს. . . . . . . . . . | 12 |
| 9 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . . . . . . . . . | 5 |
| 10 | სახალხო სასამართლოებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 11 | სარაიონო პროკურორებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 12 | სახალხო გამომძიებლებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |

ფასი 40 კაპ.

მთავლიტი № 25. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 163. ტირაჟი 1.500